



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

---

1959 · 50 · 2009

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე „გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი № 4313/04)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2009 წლის 20 ოქტომბერი

**საბოლოო გახდა**  
**20/01/2010**

*წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას*

საქმეში: გორგილაძე საქართველოს წინააღმდეგ,  
ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეორე სექცია) პალატამ,  
შემდეგი შემადგენლობით:  
*ფრანსუა ზ ტულკენსი*, თავმჯდომარე,  
*ვლადიმერო ზაგრებელსკი*,  
*დანუტე იოჩიენე*,  
*დრაგოლუბ პოპოვიჩი*,  
*ანდრეშ შაიო*,  
*ნონა წოწორია*,  
*კრისტინა პარდალოსი*, მოსამართლეები  
და *სალი დოლე*, სექციის განმწესრიგებელი,  
განიხილა რა საქმე პალატის 2009 წლის 29 სექტემბრის სხდომაზე, გამოიტანა  
შემდეგი გადაწყვეტილება:

## I. პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№4313/04), რომელიც სასამართლოში წარადგინა იქნა საქართველოს მოქალაქემ, ბ-ნმა დავით გორგილაძემ (შემდგომში „მომჩივანი“) მიერ, 2004 წლის 22 იანვარს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე.

2. სასამართლოში საჩივრის წარდგენის მომენტში, მომჩივანი წარმოადგენდა „კონსტიტუციის 42-ე მუხლის“ 8 ადვოკატი, რომლებიც საქმიანობას თბილისში ახორციელებენ (ქ-ნები: *ტაბატაძე*, *ვახტანგიძე*, *კამაშიძე*, *ფილიევა*, *ჟლენტი*, *ჯავახიშვილი* და *კობახიძე*). 2004 წლის 2 აგვისტოს მომჩივანმა თავის მე-9 წარმომადგენლად დანიშნა ქ-ნი *ლია მუხაშავერია*, ადვოკატი იმავე ორგანიზაციიდან. 2006 წლის 22 მარტიდან მომჩივანს სასამართლოში წამოდაგენს ადვოკატი *ნიკოლოზ ლევაშვილი*, რომელიც საქმიანობას თბილისში ახორციელებს. საქართველოს მთავრობა („მთავრობა“) თანმიმდევრულად იყო წარმოდგენილი ქ-ნ ირინე ბართაიასა და ბ-ნების, სიმონ პაპუაშვილისა და მიხეილ კეკენაძის მიერ.

3. მომჩივანი ასაჩივრებდა პატიმრობის პირობებს და მიიჩნევდა, რომ სასამართლო კოლეგია, რომელმაც ის პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ იყო „კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლო“.

4. 2005 წლის 2 დეკემბერს სასამართლომ მთავრობას აცნობა მომჩივნის პრეტენზიების შესახებ (რეგლამენტის 54-ე (§2 „ბ“) მუხლი). იმავე დღეს, სასამართლომ გადაწყვიტა, რომ საჩივარში წამოყენებული პრეტენზიების მისაღებობისა და არსებითი მხარის განხილვა ერთდროულად მოხდებოდა (კონვენციის 29-ე (§3) მუხლი). მთავრობამ და მომჩივანმა წარმოადგინეს

წერილობითი განმარტებები საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის თაობაზე (რეგლამენტის 54 ა) მუხლი).

## ფაქტები

### 1. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1981 წელს და ცხოვრობს ლანჩხუთში.

6. 2002 წლის 29 ივნისს ლანჩხუთის რაიონულმა პროკურატურამ მომჩივანი ექვმიტანლად ცნო მამა-შვილ მ.-ს მკვლელობაში. იმავე დღეს, დილის 05:00 საათზე, დ. გორგილაძე გამოცხადდა პოლიციის განყოფილებაში და ამტკიცებდა, რომ ღამის 02:00 საათზე მომხდარი ჩხუბის დროს, მან დაჭრა ზემოხსენებული პირები. 12-საათიანი დაკავების შემდეგ, მომჩივანს დაენიშნა სახაზინო ადვოკატი. იმავე დღეს, მას ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება, რომელსაც მის სხეულზე ფიზიკური ძალადობის არავითარი ნიშანი არ გამოუვლენია.

7. მოკლულთა გვამებს ასევე ჩაუტარდა სამედიცინო ექსპერტიზა იმავე სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის მიერ, რომელმაც მომჩივანი გასინჯა.

8. 2002 წლის 30 ივნისის დადგენილებით, გამომძიებელმა მომჩივანს წარუდგინა ბრალი მკვლელობისთვის. დაკითხულ იქნა რა ამ სტატუსით, მომჩივანმა გამოიყენა დუმილის უფლება და მხოლოდ საკუთარი უდანაშაულობის მტკიცებით შემოიფარგლა.

9. იმავე დღეს, პროკურატურამ მიმართა ლანჩხუთის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც, 2002 წლის 1-ლ ივლისს, მომჩივანს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

10. 2002 წლის 5 ივლისს, მომჩივანი მოათავსეს ბათუმის წინასწარი დაკავების №3 იზოლაციაში.

11. პროკურატურის 2002 წლის 23 სექტემბრის მოთხოვნის შემდეგ, ქუთაისის საოლქო სასამართლომ მომჩივანის წინასწარი პატიმრობის ვადა გაახანგრძლივა.

12. 2002 წლის ნოემბერში, დაუდგენელ დროს, წინასწარი გამოძიება დასრულდა და ამის შესახებ ეცნობა მომჩივანსა და მის ადვოკატს. ამის შემდეგ, ისინი გაეცნენ საქმის მასალებს. 2002 წლის 29 დეკემბერს კომპეტენტურმა პროკურორმა საბრალდებო დასკვნა და მომჩივანის საქმე გადაუგზავნა უზენაეს სასამართლოს განაჩენის გამოსატანად.

13. 2003 წლის 17 იანვარს მომჩივანი მოთავსებულ იქნა თბილისის №5 საპრობილეში.

14. 2003 წლის 1-ლ და 30 აპრილს, მომჩივანის საჩივრები, რომლებშიც ის ეჭვქვეშ აყენებდა მოკლულთა სხეულზე ჩატარებული ექსპერტიზის შედეგებს, უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა, როგორც დაუსაბუთებელი.

15. 2003 წლის 21 მაისს, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ, რომელიც 1 მოსამართლისა და 2 მსაჯულისაგან შედგებოდა, მომჩივანი დამნაშავედ ცნო მის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და მას 18 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

16. მომჩივნის შემდგომი სარჩელი უზენაესი სასამართლოს 3 პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარმა სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ არ დააკმაყოფილა

17. 2003 წლის 16 აგვისტოს, მომჩივანის მოთავსებულ იქნა თბილისის №5 საპყრობილის ტუბერკულოზით დაავადებულ მსჯავრდებულთა და პატიმართა №40 საკანში, 2004 წლის 14 დეკემბერს, ქსნის №7 დაწესებულებაში გადაყვანამდე.

## II. შესაბამისი ეროვნული სამართალი

18. პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით

*ა) 1999 წლის 22 ივლისის კანონი „პატიმრობის შესახებ“, შესაბამის დროს მოქმედი რედაქციით:*

### მუხლი 26

„1. მსჯავრდებულს უფლება აქვს:

ა) უზრუნველყოფილი იყოს:

ა. ა) საცხოვრებელი სადგომით, კვებით, ტანსაცმლით ...

(...)

ბ) შეიტანოს საჩივარი სასჯელადსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის, მოსამსახურეთა, დეპარტამენტის ან სხვა სახელმწიფო დაწესებულების უკანონო მოქმედებაზე.“

### მუხლი 33

„1. სასჯელადსრულების დაწესებულებაში მსჯავრდებულისათვის გამოყოფილი საცხოვრებელი სადგომი, უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო-ტექნიკურ და სანიტარიულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფდეს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის შენარჩუნებას.

2. ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა არ უნდა იყოს (...) 2 მ<sup>2</sup>-ზე, საპყრობილეში 2,5 მ<sup>2</sup>-ზე ნაკლები (...)

4. საცხოვრებელ სადგომს უნდა ჰქონდეს ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფს ბუნებრივ განათებას და ვენტილაციას.“

19. მსაჯულებთან დაკავშირებით.

*ა) 1999 წლის 20 თებერვლის ისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (« სსსკ »), რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 15 მაისს*

აღნიშნული კოდექსის შესაბამისი დებულებები, რომლებიც ძალაში იყო ფაქტების დადგომის დროს შემდეგში მდგომარეობს :

### **მუხლი 8§3**

„სასამართლო ხელისუფლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე ანგარიშვალდებული არ არის. მოსამართლე და მსაჯული დამოუკიდებელი არიან და ემორჩილებიან მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციასა და კანონს.“

### **მუხლი 44. §§ 1 და 2**

„1. სასამართლო - მართლმსაჯულების განმახორციელებელი კოლექტიური ორგანო; მოსამართლე - ორგანო, რომელიც ერთპიროვნულად, არსებითად განიხილავს სისხლის სამართლის საქმესა და მასალებს საპროცესო იძულების ღონისძიების გამოყენების შესახებ.

2. მსაჯული - საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის პირველი ინსტანციით საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად კანონით დადგენილი წესით დაშვებული საქართველოს მოქალაქე.“

### **მუხლი 51**

„სასამართლო კოლეგიის ყველა მოსამართლეს, აგრეთვე მოსამართლესა და მსაჯულს საქმის განხილვისას მტკიცებულებათა გამოკვლევაში მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების თანაბარი უფლებები აქვთ.“

### **მუხლი 105§1**

„1. მოსამართლე, მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევია ან სასამართლო სხდომის მდივანი მონაწილეობას ვერ მიიღებს სისხლის სამართლის საქმის წარმოებაში, თუ:

ა) იგი არ იყო თანამდებობაზე დანიშნული ან არჩეული კანონით დადგენილი წესით;

ბ) ამოიწურა მისი უფლებამოსილების ვადა;

გ) საქმე არ არის ამ პროკურორის, გამომძიებლის ან მომკვლევის ქვემდებარე ანდა ამ სასამართლოს განსჯადი.“

105-ე მუხლში მოცემული დანარჩენი მოტივები ეხება მსაჯულთა დამოუკიდებლობის საკითხებს (იმავე საქმის წარმოებაში წინად მონაწილეობა ნათესავური ან მეგობრული ურთიერთობის ქონა მხარეებთან ან პროცესის სხვა მონაწილეებთან)

### **მუხლი 108 §§ 1, 2 და 4**

„1. თუ არსებობს 105-107-ე მუხლებში აღნიშნული გარემოებები, მოსამართლე, მსაჯული, პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევია, (...) ვალდებული არიან საჩივარონ თვითაცილება. თუკი მათ ეს არ განუცხადებიათ, მათ აცილება შეიძლება მისცენ ექვმიტანილმა, ბრალდებულმა, (...).

2. განცხადება აცილების შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს.

4. მოსამართლის ან მსაჯულის აცილების საკითხს წყვეტენ დანარჩენი მოსამართლეები (მსაჯულები) იმ მოსამართლის ან მსაჯულის დაუსწრებლად, რომელსაც აცილება მისცეს. საკითხს აცილების შესახებ, რომელიც მოსამართლეთა უმრავლესობას ან სასამართლოს მთელ შემადგენლობას (...), წყვეტს სასამართლო მთელი შემადგენლობით, ხმების უბრალო უმრავლესობით.“

### **მუხლი 434§1**

„1. სისხლის სამართლის საქმეს პირველი ინსტანციის სასამართლოები განსჯადობის შესაბამისად განიხილავენ: (...) საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია – ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.“

### **მუხლი 438. § 1 და 2**

„1. მოსამართლე და მსაჯულები ერთად ქმნიან კოლეგიას, რომელიც ხმების უმრავლესობით წყვეტს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხს და იღებს გადაწყვეტილებას.

2. მტკიცებულებათა გამოკვლევისა და გადაწყვეტილების მიღების დროს მსაჯული სარგებლობს მოსამართლის თანაბარი უფლებებით.“

*ბ) 1990 წლის 28 დეკემბრის კანონი მოსამართლის შესახებ, რომელიც გაუქმდა 1997 წლის 13 ივნისის კანონით (მუხლი 90)*

აღნიშნული კანონის მე-2, მე-3, მე-6, მე-8 და მე-10 მუხლები ადგენენ იმ მოთხოვნებს, რომლებსაც მოსამართლეები და მსაჯულები უნდა აკმაყოფილებდნენ ; კანონი ასევე ადგენდა მათი დამოუკიდებლობის პრინციპებს და განსაზღვრავდა მათი ხელშეუხებლობისა და მოსამართლედ (მსაჯულად) არჩევის წესებს. კანონის პირველი იმ ფინე და მე-12 მუხლების შესაბამისად, საქმეების განხილვის დროს, მსაჯულები სარგებლობდნენ მართლმსაჯულების განხორციელების მოსამართლეების თანაბარი უფლებებით. მოსამართლეებისაგან განსხვავებით, რომელთა უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა 10 წლის ვადით, მსაჯულები ირჩეოდნენ 5 წლის ვადით (მუხლი 10). მე-13 მუხლის შესაბამისად, მსაჯულები ვალდებული იყვნენ, მიეღოთ იურიდიული განათლება, მომზადებულიყვნენ თითოეული საქმის განხილვისთვის და დაეცვათ სასამართლო განხილვის საიდუმლოება. მოსამართლებს მსაჯულებისთვის წინასწარ უნდა აეხსნათ განსახილველი საქმეები, ისევე როგორც შესაბამისი, გამოსაყენებელი სამართლის ნორმები და არსებული პრაქტიკა.

*გ) 1997 წლის 13 ივნისის ორგანული კანონი „საქართველოს საერთო სასამართლოების შესახებ“, რომელიც ძალაში იყო შესაბამის დროს*

### **მუხლი 38§2 (გაუქმდა 1998 წლის 24 დეკემბერს)**

„2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს საქმეებს ერთი მოსამართლისა და ორიდან ექვსამდე მსაჯულის მონაწილეობით. საქმის განხილვაში მონაწილე მსაჯულების რაოდენობა განისაზღვრება სამართალში მიცემის სტადიაზე სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. მსაჯულების არჩევის წესს, უფლებებსა და მოვალეობებს, აგრეთვე მართლმსაჯულების განხორციელებაში მათი მონაწილეობის წესს განსაზღვრავს კანონი.“

### **მუხლი 46§1**

„1. მოსამართლე შეიძლება იყოს საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე ოცდაათი წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა ხუთი წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდა.“

1999 წლის 5 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც ადგენდა მსაჯულთა დამოუკიდებლობისა და ხელშეუხებლობის პრინციპებს, მოქალაქეობის, ასაკის, საცხოვრებელი ადგილისა და განათლების დონის კრიტერიუმებს, რომლებიც მსაჯულად ასარჩევ პირს უნდა დაეკმაყოფილებინა, განსაზღვრავდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადებსა და მათი არჩევის წესებს, საქმის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად მსაჯულის დანიშვნის კრიტერიუმებს და მსაჯულის ჩამოცილების შემთხვევაში მათი შეცვლის საკითხებს, ადგენდა მათი სოციელური დაცვის, პროფესიული სწავლებისა და ა.შ. პრინციპებს. აღნიშნული კანონის გარდამავალი დებულებების (მუხლი 87-2) შესაბამისად, ამ მუხლის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 5 დღისა საქართველოს იუსტიციის საბჭომ, წარდგინებებით უნდა მიმართონ საქართველოს პრეზიდენტს საერთო სასამართლოებში ასარჩევ მსაჯულთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე. საერთო სასამართლოებში მსაჯულთა რაოდენობის განსაზღვრის თაობაზე საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემიდან არაუგვიანეს 10 დღისა საქართველოს რაიონების გამგებლები და იმ ქალაქების მერები, რომლებიც არ შედიან რაიონების შემადგენლობაში, გარდა თბილისის მერისა, ამ კანონით დადგენილი წესით შერჩეული კანდიდატების სიასა და მონაცემებს მსაჯულად არჩევისათვის წარუდგენენ შესაბამისად ქ. თბილისის, საქართველოს რაიონებისა და ქალაქების საკრებულოებს. თითოეული საკრებულო შესაბამისი რაიონის გამგებლისა და ქალაქის მერის მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიასა და მონაცემებს აქვეყნებს მათი წარდგენიდან არაუგვიანეს 3 დღისა. რაიონის, ქალაქის საკრებულო წარდგენილ კანდიდატურებს განიხილავს და შესაბამისი სასამართლოს მსაჯულად ირჩევს თავის მორიგ ან რიგგარეშე სხდომაზე, კანდიდატთა სიისა და მონაცემების გამოქვეყნებიდან არა უადრეს 5 დღისა. თუ რომელიმე რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში არჩეულ მსაჯულთა რაოდენობა 1999 წლის 15 აპრილისათვის აღმოჩნდა ამ სასამართლოსათვის საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრულ მსაჯულთა რაოდენობის სამ მეოთხედზე ნაკლები, მაშინ საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია არა უგვიანეს 1999 წლის 20 აპრილისა საქართველოს, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების იუსტიციის საბჭოების წარდგინების საფუძველზე, შესაბამისი რაიონის გამგებლისა თუ ქალაქის მერის მიერ შერჩეული კანდიდატებიდან დანიშნოს მსაჯულები ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილების ვადით. არჩეული (დანიშნული) მსაჯულის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრებოდა 3 წლით, რომელიც უნდა ათვლილიყო 2000 წლის 1 იანვრიდან. 1996 წლის 5 მარტსა და 16 აპრილს მიღებულ ყველა დებულება გაუქმდა 1999 წლის 28 მაისის კანონით, ისე, რომ შემდგომში მათი შემცვლელი ახალი ტექსტი არ ყოფილა მიღებული.

*დ) 1999 წლის 12 მაისის ორგანული კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს შესახებ“, რომელიც ძალაში იყო შესაბამის დროს*

**მუხლი 8 (გაუქმდა 2005 წლის 20 აპრილს)**

„1. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია პირველი ინსტანციით განიხილავს სისხლის სამართლის საქმეებს, რომლებიც სისხლის სამართლის საპროცესო კანონით საქართველოს უზენაესი სასამართლოს განსჯადია.

2. უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია საქმეებს განიხილავს ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით.“

**მუხლი 20**

„1. უზენაესი სასამართლოს წევრად შეიძლება გამწესდეს საქართველოს მოქალაქე 30 წლის ასაკიდან, თუ მას აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, სპეციალობით მუშაობის სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება, ფლობს სახელმწიფო ენას და ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 68-ე მუხლით დადგენილი წესით.

2. საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების გარეშე უზენაესი სასამართლოს წევრის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტს წარუდგინოს სამართლის გამოჩენილი სპეციალისტის კანდიდატურა. ამ გამოცდისაგან თავისუფლდება აგრეთვე უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობაზე ასარჩევად წარდგენილი პირი.

3. უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ არ შეიძლება გამწესდეს ნასამართლვეი პირი ან ის, ვინც ადრე გათავისუფლებული იყო მოსამართლის თანამდებობიდან ამ კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“, „ე“ და „მ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე საფუძვლით.

4. უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა თანამდებობასთან და ანაზღაურებად საქმიანობასთან, გარდა პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ეკრძალება პოლიტიკური გაერთიანების წევრობა და პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობა.“

**მუხლი 21**

„1. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და წევრებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, 10 წლის ვადით ირჩევს საქართველოს პარლამენტი.“

*ე) შრომის კოდექსი, რომელიც გაუქმდა 2006 წლის 25 მაისს*

**მუხლი 110§3**

„დასაქმებული ინარჩუნებს თავის ხელფასს თუ სამუშაო დროის განმავლობაში, ის ასრულებს ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთ მოქალაქეობრივ ვალდებულებას: (...) მონაწილეობს საქმის განხილვაში, როგორც მსაჯული (...)“



*ვ) 1991 წლის დადგენილება, მსაჯულთა არჩევას შესახებ და მისი მომდევნო ტექსტები*

მთავრობა წარმოადგენს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებას (საკანონმდებლო ორგანო 1990-იანი წლების დასაწყისში), რომელიც არ არის დათარიღებული. მთავრობა ამტკიცებს, რომ საქმე ეხება 1991 წელს მიღებულ დოკუმენტს. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება დოკუმენტს, რომელიც შეიცავს უზენაესი სასამართლოს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას, სასამართლოს კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სავარაუდოდ, ეს უნდა იყოს 1991 წლის 14 ივნისის დოკუმენტი. ანდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ იმ ორი მსაჯულის გვარები, რომლებიც მონაწილეობდნენ მომჩივნის საქმის განხილვაში, აღნიშნულ სიაში ფიგურირებს.

1996 წლის 7 მარტს, 1990 წლის 28 დეკემბრის კანონზე და ხსენებულ, 1991 წლის 14 ივნისის დადგენილებაზე დაყრდნობით, პარლამენტმა მიიღო დადგენილება მოსამართლის სტატუსის შესახებ, რომლითაც უკვე არჩეულ, მოქმედ მსაჯულებს უფლებამოსილების ვადა 1997 წლის 25 ნოემბრამდე გაუგრძელდა.

1997 წლის 27 ივნისს, პარლამენტმა მიიღო ერთი კანონი, რომელშიც ის აცხადებდა, რომ ზემოაღნიშნული უფლებამოსილების ვადა გაგრძელებულ იქნა ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ძალაში შესვლამდე, რაც 1999 წლის 15 მაისს მოხდა.

*ზ) 1998 წლის 12 ივნისის კანონი მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გახანგრძლივების შესახებ, რომელიც გაუქმდა 2005 წლის 25 მარტს*

**მუხლი 1**

„საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა უფლებამოსილების ვადა გაგრძელებულია პირველ ივლისამდე.“

**მუხლი 2**

„ეს კანონი ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.“

აღნიშნულ კანონში მსგავსი, 1999 წლის 28 მაისის, 2000 წლის 13 ივნისისა და 5 დეკემბრის, 2001 წლის 7 დეკემბრის, 2002 წლის 28 დეკემბრისა და 2004 წლის 29 დეკემბრის ცვლილებების შეტანის შემდეგ, უფლებამოსილების ვადა გაგრძელებულ იქნა შესაბამისად, 2000 წლის 1-ლ ივლისამდე, 2001 წლის 1-ლ იანვრამდე, 2002 წლის 1-ლ იანვრამდე და 31 დეკემბრამდე, 2004 წლის 31 დეკემბრამდე და 2005 წლის 31 დეკემბრამდე.

არც 1998 წლის 12 ივნისის კანონი და არც მისი შემდგომი ტექსტები არ შეიცავდა მითითებას იმ იურიდიულ ტექსტზე, რომელსაც ისინი ეყრდნობოდა.

მსაჯულთა ინსტიტუტი გაუქმდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 2005 წლის 25 მარტს შეტანილი ცვლილებების შედეგად.

### III. ევროპის საბჭოს დოკუმენტები

*20. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი*

**ა. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტის 2002 წლის 25 ივლისს გამოქვეყნებული მოხსენება საქართველოში 2001 წლის 6-18 მაისს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ**

69. №1 საპყრობილე მდებარეობს №5 საპყრობილის გვერდით. იგი თავდაპირვალად აშენდა 1860 წელს როგორც საწყობი და საპატიმროდ გადაკეთდა მე-19 საუკუნის ბოლოს. იგი წარმოადგენს დახურული ტიპის, მკაცრი რეჟიმის ციხეს, რომელიც ამ ტიპის ერთადერთი დაწესებულებაა საქართველოში და იგი განკუთვნილია მძიმე დანაშაულის ჩადენაში მსჯავრდებული მამაკაცებისათვის (...)

74. დაწესებულების შენობები უაღრესად ამორტიზირებულია (დახეთქილი ბათქაში, კედლებზე გადაცლილი საღებავი, ჩამტვრეული ფანჯრები, დაზიანებული იატაკი, სიცოცხლისათვის საშიში გაუმართავი ელექტროგაყვანილობა/აპარატურა და მწყობრადან გამოსული წყალგაყვანილობის სისტემები), რაც სრულიად შეუსაბამო გარემოს ქმნის როგორც პატიმრების, ისე ციხის თანამშრომლებისათვის.

75. ყველაზე სავალალო მდგომარეობა აღინიშნა მთავრი კორპუსის სარდაფში, სადაც განთავსებული იყო საკნები („საკარანტინო ოთახები“) ახლადმოყვანილი პატიმრებისა და სხვა სასჯელარსრულების დაწესებულებებში გადასაცემი პირებისათვის. აქვე მდებარეობდა დისციპლინარული სასჯელის განყოფილება („კარცერი“) მამაკაცი პატიმრებისათვის (იხ. §138). გარდა ამისა, სარდაფის ყოფილი სიკვდილმისჯილთა საკნები გამოიყენებოდა პროკურორის გადაწყვეტილებით ან მათივე უსაფრთხოების მიზნით იზოლირებული პატიმრებისთვის. ვიზიტის დროს სარდაფის საკნებში განთავსებულ პატიმართა მცირე რაოდენობა არ ასახავდა აქ ჩვეულებრივ მყოფ პატიმართა რაოდენობას, რაც შემდეგში ცხადყო საპყრობილის სარეგისტრაციო ჟურნალების შემოწმებამ (იხ. §8).

დელეგაციის მიერ სარდაფის დათვალიერებამ გამოავლინა, რომ აქ ერთი პატიმრის საცხოვრებელი ფართი შეიძლება 1,7 მ<sup>2</sup>-ც კი იყოს. გარდა ამისა ჩვეულებრივ საკნები ბნელი, გაუნიავებელი, ნესტიანი და უსუფთაო იყო. დოგჯერ ისინი ნაგვის გროვებით იყო სავსე და მათი მდგომარეობა იმდენად სავალალო იყო, რომ ძნელად ექვემდებარებოდა აღწერას. ვიზიტის ბოლოს დელეგაციამ თხოვა საქართველოს ხელისუფლებას შეეწყვიტა სარდაფის გამოყენება და 3 თვის განმავლობაში მიეცა დასტური ამის თაობაზე. (2001 წლის 26 ნოემბრის წერილით საქართველოს ხელისუფლებამ აცნობა წამების საწინააღმდეგო კომიტეტს, რომ №5 საპყრობილის სარდაფი, მათ შორის საკარანტინო ოთახები და ყოფილი სიკვდილმისჯილთა საკნები გაუქმდა).

76. ასევე უმძიმესი პირობებია მთავარი კორპუსის სხვა სართულებზე. შაკნების უდიდესი უმრავლესობა გადატვირთულია (მაგ. 20 მ<sup>2</sup> ფართის საკანში მოთავსებულია 10 პატიმარი; ხოლო 55-დან 60 მ<sup>2</sup>-მდე ფართის საკანში 30-მდე პატიმარი იხდის სასჯელს). რამდენიმე საკანში პატიმრების რაოდენობა აღემატება საწოლების რაოდენობას, რის გამოც პატიმრებს მორიგეობით უწევთ ძილი. საკნების გადატვირთულობასთან ერთად პატიმრების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებს Aის, რომ

საკნების ფანჯრებზე აფარებული რკინის სქელი ქალუზები უკიდურესად ზღუდავს დღის სინათლისა და სუფთა ჰაერის შემოსვლას. არადამაკმაყოფილებელია ასევე საკნების ხელოვნური განათება.

81. ფინანსური სირთულეების მიუხედავად, ციხე ახერხებდა პატიმრების სამჯერადი კვების უზრუნველყოფას. თუმცა მრავალმა პატიმარმა გამოთქვა უკმაყოფილება საკვების ხარისხთან და მის ერთფეროვნებასთან დაკავშირებით. კვების რაციონის გაუმჯობესება ხდებოდა პატიმრების ნათესავების მიერ მოტანილი ამანათების ხარჯზე, რომელთა მიღებაც მათ შეუძლიათ შეუზღუდავი რაოდენობით.

**ბ. წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტის 2005 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებული მოხსენება საქართველოში 2003 წლის 18-28 ნოემბერს განხორციელებული ვიზიტის შემდეგ**

„54. უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ წამების საწინააღმდეგო კომიტეტი ძალზე შეშფოთებულია საქართველოს პენიტენციური სისტემის მთელ რიგ სფეროებში პროგრესის სიმცირით.

2001 წელს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის პირველი ვიზიტის დროს პენიტენციური სისტემა ახალი გადასული იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში. და აღნიშნული ცვლილების შედეგები სრულად წარმოჩენილი არ იყო. გარდა ამისა, ქვეყნის წინაშე მდგარმა სერიოზულმა ეკონომიკურმა და სოციალურმა პრობლემებმა, რასაკვირველია უარყოფითი გავლენა მოახდინა ციხის პირობებზე. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2001 წლის ანგარიში შეიცავდა მთელ რიგ რეკომენდაციებს, რამდენიმე მათგანი გადაუდებელი ხასიათის იყო. კომიტეტმა აღიარა, რომ ზოგიერთი რეკომენდაციის შესრულება შესაძლოა მოითხოვდა დიდ ფინანსურ დანახარჯებს, რაც აღმატებოდა საქართველოს ხელისუფლების ბიუჯეტის ფინანსურ შესაძლებლობებს, მაგრამ რიგი რეკომენდაციებისა არ მოითხოვდა ამგვარ ხარჯებს და შესაძლებელი იყო მათი დაუყოვნებლივ შესრულება. სამწუხაროდ, მეორე პერიოდული ვიზიტის დროს გამოვლენილი ფაქტები ადასტურებს, რომ 2001 წლის ვიზიტის შემდეგ შემუშავებული რეკომენდაციების იმპლემენტაცია არ მომხდარა, და გარკვეულ შემთხვევებში მდგომარეობის გაუარესებასაც ჰქონდა ადგილი.

55. 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს, დელეგაციას შეატყობინეს შემაშფოთებელი ტენდენციის შესახებ: 2004 წლის იანვრიდან, საქართველოს ციხეებში პატიმართა რაოდენობა გაიზარდა 700 პატიმრით, რაც შეადგენს ზრდის 10%-იან მაჩვენებელს 4 თვის განმავლობაში. პატიმართა საერთო რაოდენობა იყო დაახლოებით 7000, რომლის 40% იყო განსასჯელი. შედეგად, ციხეების გადატვირთვამ ქვეყნის ძირითად სასჯელადსრულების დაწესებულებაში, თბილისის №5 საპყრობილეში, მიაღწია შემაშფოთებელ მაჩვენებელს. ამავდროულად, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, საპყრობილეში არსებული მდგომარეობა იყო ძალიან მძიმე და ზოგიერთი შენობა გამოუყენებადი. შედეგად, პირობები ბევრ დაწესებულებაში მნიშვნელოვნად არღვევდა როგორც საქართველოს კანონმდებლობის, ისე საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებს.

65. 2003 წლის 19 ნოემბერს, №5 საპყრობილეში იმყოფებოდა 1825 პატიმარი... 2004 წლის მაისში, კომიტეტის ვიზიტის გახანგრძლივების დროისათვის, დაწესებულებაში პატიმართა რაოდენობა გაიზარდა 22%-ით და გახდა 2222... მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური ტევადობა უტოლდებოდა 2020-ს, დელეგაციას შეატყობინეს, რომ მოცემული რიცხვი დადგინდა საბჭოთა კავშირის დროს და ტევადობა რეალურად 1500 იყო.

ციხეების გადატვირთულობის პრობლემის გადაწყვეტის მიზნით, გადაწყდა №5 საპყრობილის ახლომდებარე №I საპყრობილესთან გაერთიანება (დახურული ტიპის მკაცრი რეჟიმის დაწესებულება) და ამ უკანასკნელ დაწესებულებაში განაჩენის მომლოდინე პატიმრების გადაყვანა. დაახლოებით 400 პატიმარი დაექვემდებარა გადაყვანას. 2004 წლის მაისის ვიზიტის დროს მიმდინარეობდა მოსამზადებელი სამუშაოები გადაყვანის პროცედურის იმპლემენტაციისათვის.

67. 2001 წლის ვიზიტის დასასრულს, CPT-ის დელეგაციამ სთხოვა საქართველოს ხელისუფლებას, რომ ამოელო მოხმარებიდან ყველა საკანი, რომელიც მდებარეობდა დაკავების ძირითადი ბლოკის (კარანტინი, ტრანზიტი და დისციპლინარული საკნები) სარდაფში. ეს ღონისძიება მართლაც გატარდა 2001 წლის ვიზიტის შემდეგ. მიუხედავად ამისა, №5 საპრობილეში გაგზავნილ პატიმართა მზარდი რაოდენობის გამო, კვლავ გახდა აუცილებელი სარდაფის საკნების გამოყენება. 2004 წლის მაისში, 170 პატიმარი იმყოფებოდა სარდაფში (ახალი პატიმრები, პატიმრები განცალკევებულები მათივე უსაფრთხოებისათვის და გადაყვანის მომლოდინე პატიმრები). საკნები იყო ბნელი, ცუდად ვენტილირებული, ნესტიანი და ამაზრზენად ბინძური. ასევე, ზოგ საკანში, პატიმრები იყოფდნენ საწოლებს.

68. პირობები დაკავების ძირითადი ბლოკის სხვა დონეებზე დარჩა ძალიან მძიმე. საწოლი ოთახები იყო შესამჩნევად გადატვირთული, 1მ<sup>2</sup> სივრცე პატიმარზე. პატიმართა რაოდენობა ხშირად აჭარბებდა საწოლების რაოდენობას, რის გამოც პატიმრებს უწევდათ ორ, ან ზოგჯერ 3, ცვლად ძილი (მაგალითად, 45მ<sup>2</sup>-იან საკანში, სადაც იყო 28 საწოლი, იმყოფებოდა 46 პატიმარი). სიტუაციას ამწვავებდა ცუდი ვენტილაცია და ბუნებრივი განათების ნაკლებობა, რაც გამოწვეული იყო საკნების ფანჯრებზე დამონტაჟებული მეტალის დარაბებით. ამასთან დაკავშირებით, დელეგაციას აცნობეს, რომ დარაბების მოხსნის გეგმა (CPT-ის 2001 წლის ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის შესაბამისად) ვერ განხორციელდა ფინანსების ნაკლებობის გამო. სანიტარული პირობებიც სავსებით არაადეკვატური იყო: დაახლოებით 50 პატიმარი სარგებლობდა ერთი და იმავე დანგრეული, ხშირად ბინძური საპირფარეოთი. ამასთანავე, არ იყო გათბობა და არაიზოლირებული (ეხპოსედ) ელექტრომავთულები ქმნიდნენ უბედურ შემთხვევათა მაღალ რისკს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა პატიმარმა ზემოთ აღწერილ მავნებელ გარემოში გაატარა დაახლოებით ორწელიწადნახევარი. (...)

72. საკვებთან დაკავშირებული მდგომარეობა არ შეცვლილა 2001 წლის ვიზიტის შემდეგ; პრაქტიკულად, პატიმრები ძირითადად დამოკიდებულნი იყვნენ ოჯახების მიერ გამოგზავნილ საკვებზე.

ასევე, როგორც 2001 წელს, პატიმრები არ ღებულობდნენ პირადი ჰიგიენის საგნებს და დაწესებულებაში არ იყო სამრეცხაო. საპატიმრომ უარი თქვა პასუხისმგებლობაზე, რომ მოემარაგებინა პატიმრები ლოგინებით და ბევრ პატიმარს ეძინა ნაფლეთებზე. (...)

73. იმ მსჯავრდებულთა გარდა, რომლებიც ასრულებდნენ სამუშაოებს დაწესებულებაში, არც ერთი მათი თანამოსაკნესათვის არ იყო შეთავაზებული რაიმე ფორმის ორგანიზებული ღონისძიება. 2003 წლის ნოემბრის ვიზიტის დროს, დელეგაციამ აღმოაჩინა, რომ სუფთა ჰაერზე გასეირნება არ იყო უზრუნველყოფილი შაბათ-კვირას და გარკვეული კატეგორიის პატიმრები (მაგ. კარანტინის ქვეშ მყოფნი და დისციპლინარულ იზოლირებულ საკანში მოთავსებული თანამოსაკნეები) საერთოდ არ სარგებლობდნენ სუფთა ჰაერზე გასეირნებით.

2004 წლის მაისის ვიზიტის დროს, პერსონალის/პატიმრის თანაფარდობამ მიაღწია ისეთ დაბალ მაჩვენებელს, რომ პატიმართა უმეტესობა საერთოდ არ სარგებლობდა სუფთა ჰაერზე გასეირნებით.

75. (...)

კომიტეტი მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას, დაუყონებლივ მიიღოს ზომები, იმისათვის, რომ თბილისის მეხუთე საპრობილეში:

- ყველა პატიმარს ჰქონდეს საკუთარი საწოლი;
- მოიხსნას რკინის დარაბები, რომლებიც ბლოკავს საკნების ფანჯრებს, რათა არსებობდეს ბუნებრივი განათება და ადეკვატური ვენტილაცია;
- ყველა პატიმარი იყოს უზრუნველყოფილი, სულ მცირე, 1 საათით, სუფთა ჰაერზე ყოველდღიური გასეირნებით.“

## სამართალი

### I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

21. ევროპული სასამართლოსთვის მიმართვის მომენტში, მომჩივანი ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ 19 თვის განმავლობაში, ის დაკავებული იყო თბილისის №5 საპყრობილეში, 24 პატიმარზე გათვლილ ბინძურ საკანში, 35 სხვა პატიმართან ერთად, რაც პატიმრებს აიძულებდა, მორიგეობით დაეძინათ. საკანი იმდენად ნესტიანი იყო, რომ მასში ჯანმრთელი პატიმრებიც კი ავად ხდებოდნენ. გარდა ამისა, ციხის ადმინისტრაციის მიერ მიწოდებული საკვები იყო უკიდურესად მწირი.

22. კონვენციის მე-3 მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული :

„არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოპყრობას ან დასჯას.“

#### ა. მისაღებობა

##### 1. ბათუმის №3 საპყრობილე

23. სასამართლო აღნიშნავს, რომ იმის საწინააღმდეგოდ, რასაც მომჩივანი მისთვის მიმართვის მომენტში, 2004 წლის 22 იანვარს ამტკიცებდა, როგორც ჩანს, ის არ ყოფილა აღნიშნულ თარიღამდე, ერთსა და იმავე დაწესებულებაში, უწყვეტად, 19 თვის განმავლობაში მოთავსებული. სინამდვილეში, აღნიშნული 19 თვის განმავლობაში, მომჩივანი იმყოფებოდა სამ სრულიად განსხვავებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში (§§ 10, 13 და 17). გარდა ამისა, მომჩივანმა მხოლოდ 2006 წლის 19 აპრილს აღიარა, რომ ის მოთავსებული იყო ბათუმის №3 საპყრობილეში და დაიწყო თავისი პრეტენზიის დასაბუთების მცდელობა სამთავრობო მიმოხილვის საპასუხოდ.

24. პრაქტიკაში რეალურად არსებული, სადავო პერიოდში პატიმრობის ცუდი პირობების გასაჩივრების ეფექტიანი საშუალებების უქონლობის გათვალისწინებით, (§§ 28 და 29), სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს თავისი პრეტენზიები თოთოეულ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მისი ყოფნის დასრულების მომენტიოდან 6 თვის ვადაში უნდა ჩამოეყალიბებინა (*Onder c. Turquie (déc.)*, n° 39813/98, 10 juillet 2001), თუმცა აღნიშნულს არ ჰქონია ადგილი, როდესაც მომჩივანმა დატოვა ბათუმის №3 საპყრობილე 2003 წლის 17 იანვარს. ყოველ შემთხვევაში, ევროსასამართლოსთვის მიმართვის მომენტში, მომჩივანს არ წარმოუდგენია აღნიშნულ დაწესებულებაში არსებული პატიმრობის სადავო პირობების სპეციალური აღწერა, რათა დაემტკიცებინა მათი კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ხასიათი. ზემოხსენებულ გარემოებათა ერთობლიობა სასამართლოს

არ აძლევს საშუალებას, გამოიტანოს დასკვნა მომჩივნის პატიმრობის პირობების განგრძობითობის შესახებ სხვადასხვა სასჯელარღვრულების დაწესებულებებში, რომლებშიც, მან, მისივე მტკიცებისგან განსხვავებით, სავარაუდოდ, ერთობლივად გაატარა სადავო 19 თვე (იხ., *a contrario, Benediktov v. Russia*, no. 106/02, §31, 10 May 2007; *Guliyev v. Russia*, no. 24650/02, §33, 19 June 2008; and *Sudarkov v. Russia*, no. 3130/03, §40, 10 July 2008).

25. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბათუმის №3 საპყრობილეში არსებულ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით წამოყენებული მომჩივნის პრეტენზიები დაგვიანებულია და დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის საფუძველზე.

## 2. თბილისის №1 საპყრობილე

### ა) მხარეთა არგუმენტები

26. 2003 წლის 16 აგვისტოს, მომჩივანი მოთავსებულ იქნა თბილისის №1 საპყრობილის №25 საკანში. მთავრობის თანახმად, მომჩივნის საკანში არსებული პატიმრობის პირობები შეესაბამებოდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს (საკმარისი რაოდენობის საწოლები, დღის სინათლე, ცხელი წყალი და ა.შ.) იმის საპირისპიროდ, რასაც ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის მომენტში ამტკიცებდა (§21), მთავრობის საპასუხოდ, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მას მართლაც ჰქონდა პირადი საწოლი, მაგრამ სხვა მხრივ, თბილისის №1 საპყრობილეში მისი პატიმრობის პირობები არაფრით არ იყო თბილისის №5 საპყრობილეში არსებულ პატიმრობის პირობებზე უკეთესი (იხ. ზემოთ).

### ბ) სასამართლოს შეფასება

27. მხარეები თანხმდებიან იმაზე, რომ მომჩივანს ჰქონდა საკუთარი საწოლი თბილისის №1 საპყრობილეში. რაც შეეხება დანარჩენს, მათი შეხედულებები ერთმანეთს არ ემთხვევა. თუმცა, მომჩივანს არ წარმოუდგენია აღნიშნულ დაწესებულებაში არსებული პატიმრობის სადავო პირობების სპეციალური აღწერა, რათა დაემტკიცებინა მათი კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო ხასიათი.

28. ასეთ პირობებში, სასამართლო მიიჩნევს რომ პრეტენზიის აღნიშნული ასპექტი არ არის გამყარებული და ის დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი, როგორც აშკარად დაუსაბუთებელი, კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის საფუძველზე.

### 3. თბილისის №5 საპრობილე

#### ა) მხარეთა არგუმენტები

29. მთავრობას მიაჩნია, რომ მომჩივანმა არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები, ვინაიდან მას არ გამოუყენებია „პატიმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I პარაგრაფის “ზ” პუნქტითა და 33-ე მუხლებით გარანტირებული უფლება.

30. აღნიშნულის საპასუხოდ, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მას არ მოუთხოვია ციხის ადმინისტრაციის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, რადგან ეს მის მდგომარეობას არ გააუმჯობესებდა. მომჩივნის თანახმად, პატიმრობის პირობები ერთნაირად მძიმე იყო საქართველოს ყველა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. ამასთანავე, მისი საჩივრის შედეგად პატიმრობის პირობების გაუმჯობესების შემთხვევაშიც კი, ეს მანამდე არსებულ მისი უფლებების დარღვევას არ გამოსწორებდა.

#### ბ) სასამართლოს შეფასება

31. სასამართლო შეახსენებს, რომ მან უკვე განიხილა მიმართვის იმ საშუალების საკითხი, რომლის გამოყენებაც მთავრობის თანახმად, პატიმარს შეუძლია „პატიმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I პარაგრაფის შესაბამისად, თუ მას მიაჩნია, რომ იმავე კანონის 33-ე მუხლის მოთხოვნები მის მიმართ უგულვებელყოფილი იქნა. კერძოდ, სასამართლომ დაასკვნა, რომ როდესაც საქმე ეხებოდა პატიმრობის პირობებს, დამტკიცებული არ იყო, რომ აღნიშნული მიმართვის საშუალება პრაქტიკაში არსებობდა და რომ ის შეიძლებოდა, მიჩნეული ყოფილიყო, როგორც „ეფექტიანი“. სასამართლომ თავისი მსჯელობა შემდეგი სახით ჩამოაყალიბა. (აღიევი საქართველოს წინააღმდეგ, №522/04, 2009 წლის 13 იანვარი):

59. (...) სასამართლოს არ მიაჩნია, რომ ეს უკანასკნელი დებულება („პატიმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I პარაგრაფის “ზ” პუნქტი) საკმარისად ნათელი და ზუსტი იყო იმისათვის, რომ უზრუნველყო. მის მიერ მინიჭებული უფლების ეფექტური განხორციელება. კერძოდ, თუ ნათელია, რომ საჩივრის შეტანა შესაძლებელია პატიმრის მიერ, ციხის ადმინისტრაციის უკანონო ქმედების წინააღმდეგ, აღნიშნული საჩივრის ადრესატი უცნობია. ამრიგად, უცნობია, საქმე ეხება ადმინისტრაციულ, იერარქიულ, სასამართლო თუ სხვა სახის საჩივარს. ასევე დაუზუსტებელია, რა შეიძლება იყოს საჩივრის საგანი და შეიძლება თუ არა, ის ეხებოდეს არაადამიანურად და დამამცირებლად მიჩნეულ პატიმრობის პირობებს.

60. მთავრობას არ წარმოუდგენია ელემენტები, რომლებიც გააქარწყლებდა ეჭვებს და არ დაუზუსტებია თუ რომელი უწყებისათვის უნდა მიემართა საჩივრით მომჩივანს მისი პატიმრობის პირობების გაუმჯობესების მიზნით. მთავრობა შემოიფარგლა მხოლოდ მომჩივნისთვის იმის თქმით, რომ მას არ შეუტანია საჩივარი პატიმრობის შესახებ კანონის 26-ე და 33-ე მუხლების გამოყენებით, რათა „დაეყენებინა საკითხი“, რომელიც მის მიმართ

სავარაუდო არასათანადო მოპყრობას ეხებოდა და “მიეღო ადეკვატური კომპენსაცია”, აღნიშნული არგუმენტის წამოწევისას, მთავრობას არ მოუყვანია პატიმრის მიერ ამ კუთხით შეტანილი საჩივრის მაგალითი, არც სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება წარმოუდგენია, რომელიც მიღებული იქნებოდა მსგავსი სახის საჩივართან დაკავშირებით.

61. მთავრობის მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ სასამართლო ვერ დაარწმუნა იმაში, რომ მსგავსი სახის მიმართვის საშუალება პრაქტიკაში არსებობდა.

62. საწინააღმდეგოს დაშვების შემთხვევაშიც კი, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ საჩივრის შეტანა შეცვლიდა მომჩივნის მიერ გაპროტესტებულ სიტუაციას. ირკვევა, რომ ფაქტების დადგომის დროისთვის, საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებები მთელი ქვეყნის მასშტაბით გადატვირთული იყო (...) მთავრობას, თავის მხრივ, არ გაუკეთებია ახსნა-განმარტება იმის შესახებ თუ რა ცვლილების იმედი შეიძლება ჰქონოდა, იმის გათვალისწინებით, რომ საუბარია სტრუქტურულ პრობლემებზე, რომლებიც მთლიანობაში სასჯელაღსრულების სისტემას ეხებოდა (*cf.*, *Mamedova c. Russie*, n° 7064/05, § 57, 1<sup>er</sup> juin 2006; (...)

63. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ არც მთავრობის არგუმენტაცია და არც შესაბამისი შიდა სამართალი არ იძლევა იმის მტკიცების საშუალებას, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი გამოიყენებოდა მომჩივნის მიმართ ფაქტების დადგომის დროისთვის და რომ მიმართვის საშუალება „ეფექტიანი“ იყო იმ თვალსაზრისით, რომ მას შეეძლო, ხელი შეეშალა დარღვევის გაგრძელებისთვის ან მომჩივნისთვის მიეცა მომხდარი დარღვევის შესაბამისი გამოსწორების მიღწევის საშუალება (*Moisseïev c. Russie (déc.)*, n° 62936/00, 9 décembre 2004 ; *mutatis mutandis*, *Kudła c. Pologne* [GC], n° 30210/96, §158, CEDH 2000-XI).

32. იმის გათვალისწინებით, რომ „პატიმრობის შესახებ“ კანონის 26-ე მუხლის I პარაგრაფის „ბ“ პუნქტისა და 33-ე მუხლის ერთი და იგივე რედაქცია იყო ძალაში მომჩივნისა და ბატონი ალიევის პატიმრობის პერიოდში და რომ ამ ორი პირის პატიმრობის პერიოდები დროში საკმარისად ემთხვევა ერთმანეთს (იხ. ალიევი, §§ 24 და 29), სასამართლო მიიჩნევს, რომ მისი ზემოთ მოცემული მსჯელობა ვრცელდება წინამდებარე საჩივარზეც და რომ მოცემულ საქმეში არ არსებობს მისგან გადახვევის აუცილებლობა.

33. მთავრობის არგუმენტი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის შესახებ, უარყოფილი უნდა იქნას. ვინაიდან არ არსებობს მომჩივნის პრეტენზიის ამ ასპექტის დაუშვებლად ცნობის სხვა მოტივი, ის დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.



## ბ. არსებითი მხარე

### 1. მხარეთა არგუმენტაცია

34. მთავრობა განმარტავს, რომ თბილისის №5 საპყრობილეში, თავდაპირველად, მომჩივანი მოთავსებულ იქნა №95 საკანში, ხოლო შემდეგ, 2003 წლის 21 მაისს, ის გადაყვანილ იქნა №60 საკანში.

35. №95 საკანში, 48 მ<sup>2</sup> ფართობის ოთახში, რომელიც გათვალისწინებული იყო 24 ადამიანზე, მთავრობის მტკიცებით, პატიმართა რაოდენობა 25-ს არ აჭარბებდა. საკანში შედიოდა დღის სინათლე და მას მიეწოდებოდა ელექტროენერგია. №60 საკანში, 48 მ<sup>2</sup> ფართობის ოთახში, რომელიც გათვალისწინებული იყო 28 ადამიანზე, 30 პატიმარი იმყოფებოდა. საკანში შედიოდა დღის სინათლე და მასაც ასევე მიეწოდებოდა ელექტროენერგია.

36. მთავრობის მტკიცება პატიმართა რაოდენობისა და ორივე საკანში არსებული საწოლების შესახებ, გამყარებული იყო თბილისის №5 საპყრობილის დირექტორის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით, რომლიდანაც ასევე ირკვევა, რომ 2003 წლის იანვარსა და აგვისტოს შორის პერიოდში, აღნიშნული დაწესებულების საკნებში არ იყო ვენტილაცია და რომ ტუალეტები საკნების დანარჩენი სივრცისგან არ იყო იზოლირებული.

37. მთავრობის თანახმად, ის ფაქტი, რომ საკანში მყოფ პატიმართა რაოდენობა ერთი ან ორი ერთეულით სცილდება საწოლების რაოდენობას, არ იძლევა იმის დასკვნის საფუძველს, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოპყრობამ „ტანჯვის მინიმალურ ზღვარს“ მიაღწია და ეს იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის სხვა ასპექტები შესაბამისობაში იყო არსებულ კანონთან: საკნები განიავებული იყო, მათში შედიოდა დღის სინათლე და საკანს მიეწოდებოდა ელექტროენერგია, მომჩივანს შეეძლო გასეირნება, მნახველებისა და ამანათების, ასევე, ჟურნალ-გაზეთების მიღება.

38. მომჩივანი უარყოფს მთავრობის მიერ წარმოდგენილ, თბილისის №5 საპყრობილეში მისი პატიმრობის პირობების აღწერას.

39. მომჩივნის თანახმად, 48 მ<sup>2</sup> ფართობის №95 საკანში 60-70 პატიმარი იმყოფებოდა. 4 პატიმარზე 1 საწოლი იყო გათვალისწინებული და პატიმრებს რიგ-რიგობით ეძინათ. ტუალეტები არ იყო საკნის დანარჩენი სივრცისგან იზოლირებული. ჰიგიენური პირობები კი „საზარელი“ იყო. გარდა ამისა, პატიმრები, საუზმესა და ვახშამზე იღებდნენ მაკარონის ერთ პატარა პორციას, რომელიც იყო „ბინძური და ცუდი სუნი ასდიოდა“, სადილზე - უგემურ და უცხიმო კომბოსტოს წვნიანს და დღეში 1 კგ. პურს 1 პატიმარზე. ფანჯარა დაფარული იყო რკინის გისოსებით, რომლებიც ხელს უშლიდა დღის სინათლის საკანში შეღწევას, სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საკანში მუდმივად ბნელოდა. იგივე რკინის გისოსები არ იძლეოდა საკნის განიავების საშუალებას და არც ვენტილაციის სისტემა არსებობდა. ზაფხულში, საკანში ტემპერატურა 35-40 გრადუსს აღწევდა. არცერთ პატიმარს არ ჰქონდა სეირნობის უფლება.

40. რაც შეეხება №60 საკანს, მომჩივანი ამტკიცებს, რომ იქ არსებული პატიმრობის პირობები ზემოთ აღწერილი მდგომარეობის სრულიად იდენტური იყო და რომ აღნიშნულ საკანში მისი მოთავსების დროს, ის უკვე დაავადებული იყო ტუბერკულოზით.

## 2. სასამართლოს შეფასება

41. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს ავალდებულებს, უზუნველყოს, რომ თითოეული პატიმარი იმყოფებოდეს მისი ადამიანური ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი ან ტანჯვა რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას (იხ. სხვებს შორის, *Ostrovar c. Moldova*, n° 35207/03, §79, 13 septembre 2005 ; *Kafkaris c. Chypre* [GC], n° 21906/04, §96, CEDH 2008-...). ამასთანავე, პატიმრის ჯანმრთელობის გარდა, ასევე ადეკვატურად და პატიმრობის გონივრული მოთხოვნილებების გათვალისწინებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი მისი კეთილდღეობა (*Sakkopoulos c. Grèce*, n° 61828/00, §38, 15 janvier 2004 ; *Kudła c. Pologne* [GC], n° 30210/96, §94, CEDH 2000-XI). ლოგისტიკური და ფინანსური პრობლემების მიუხედავად, სახელმწიფო ვალდებულია, ისე მოაწყოს თავისი პენიტენციური სისტემა, რომ უზრუნველყოს პატიმრების ადამიანური ღირსების პატივისცემა (*Soukhovoy c. Russie*, n° 63955/00, §31, 27 mars 2008 ; *Benediktov c. Russie*, n° 106/02, §37, 10 mai 2007).

42. სასამართლო ასევე შეახსენებს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის მფარველობის ქვეშ მოსახვედრად, მოპყრობამ უნდა მიაღწიოს „ტანჯვის მინიმალურ ზღვარს.“ ამ მინიმუმის შეფასება დამოკიდებულია კონკრეტული საქმის გარემოებებზე, (*Labita c. Italie*, arrêt du 6 avril 2000, *Recueil des arrêts et décisions* 2000-IV, §120), კერძოდ, მოპყრობის კონტექსტსა და ხასიათზე, ასევე, მის ხანგრძლივობაზე, მის მიერ გამოწვეულ ფიზიკურ და მენტალურ შედეგებზე და ზოგიერთ შემთხვევაში, მსხვერპლის სქესზე, ასაკსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. (*Price c. Royaume-Uni*, n° 33394/96, §24, CEDH 2001-VII ; *Mikadze c. Russie*, n° 52697/99, §108, 7 juin 2007). აღნიშნული მტკიცებულებების შეფასების მიზნით, სასამართლო იღებს ისეთ კრიტერიუმს, რომელიც „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს სცილდება“ (იხ. სხვებს შორის, *Chamaïev et autres c. Géorgie et Russie*, n° 36378/02, §338, CEDH 2005-III).

43. სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის №5 საპყრობილეში არსებულ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებით მხარეების მიერ წამოყენებული არგუმენტები ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდება. მთავრობა ამტკიცებს, რომ საკანში არსებული ერთადერთი პრობლემა დაკავშირებული იყო საწოლების რაოდენობასთან, რომელიც მცირედ განსხვავდებოდა პატიმართა რაოდენობისაგან. თავის მხრივ, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მას არ ჰქონდა პირადი საწოლი,

იძულებული იყო ეცხოვრა, „საზარელ“ ჰიგიენურ პირობებში და არ ჰქონდა არც დღის სინათლე და არც სუფთა ჰაერი. ამასთანავე, საკვებიც ძალიან ცუდი ხარისხის იყო.

44. სასამართლო აღნიშნავს, რომ მთავრობის არგუმენტს (§27) ეწინააღმდეგება მის მიერვე, სამთავრობო მიმოხილვის გასამყარებლად წარმოდგენილი ერთ-ერთი დოკუმენტური მტკიცებულება. კერძოდ, თბილისის №5 საპყრობილის დირექტორის მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტიდან ირკვევა, რომ 2003 წლის იანვარსა და აგვისტოს შორის პერიოდში, აღნიშნული დაწესებულების საკნებში საერთოდ არ იყო ვენტილაცია და რომ ტუალეტები საკნების დანარჩენი სივრცისგან იზოლირებული არ იყო.

45. შეიძლება სერიოზული კითხვების დასმა იმასთან დაკავშირებით, უქმნიდა თუ არა ასეთი ტუალეტები მომჩივანს რეალურად ინტიმურ გარემოს (*Kalachnikov c. Russie*, n° 47095/99, §99, CEDH 2002-VI et, *a contrario*, *Valašinas c. Lituanie*, n° 44558/98, § 104, CEDH 2001-VIII) და ამგვარად, ითვლებოდა თუ არა ისინი კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მყოფად. რაც შეეხება სავენტილაციო სისტემის არარსებობას, სასამართლო ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ეს დანაკლისი არ შეიძლებოდა ანაზღაურებული ყოფილიყო საკანში სუფთა ჰაერის შესვლით. საქმე იმაშია, რომ აღნიშნულ დაწესებულებაში ფანჯრები აღჭურვილი იყო რკინის გისოსებით, რომლებიც ხელს უშლიდა ჰაერისა და დღის სინათლის საკანში შესვლას, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2001 წლის რეკომენდაციის მიუხედავად, ფანჯრებიდან რკინის გისოსების მოცილება არ მომხდარა და კომიტეტის შემდგომი, 2003 და 2004 წლების ვიზიტების დროს, ისინი კვლავ რჩებოდა ფანჯრებზე. მთავრობამ აღნიშნული ფინანსების უქონლობით ახსნა (§20).

46. მომჩივნის მტკიცება იმის თაობაზე, რომ ის იძულებული იყო, სხვა პატიმრებთან ერთად რიგრიგობით დაეძინა, არ უნდა იყოს საფუძველს მოკლებული. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის დასკვნები, რომლებიც მოცემულია 2002 წლის 25 ივნისსა და 2005 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებულ მოხსენებებში (§20), სასამართლოს თვალში, ამ თვალსაზრისით საკმარის საფუძველს იძლევა (*Dougoz v. Greece*, no. 40907/98, §46, ECHR 2001-II ; *Kehayov c. Bulgarie*, n° 41035/98, §66, 18 janvier 2005 ; *Ostrovar*, précité, §80). აღნიშნული მოხსენებებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 2001 წელს, თბილისის №5 საპყრობილე მნიშვნელოვნად იყო გადატვირთული და რომ მისი საკნები, როგორც სარდაფში, ასევე სართულებზე, ბინძური, ნესტიანი და დაზიანებული იყო. შესაბამისად, როგორც არ უნდა ყოფილიყო მომჩივნის საკნის ადგილმდებარეობა, იქ არსებული სივრცე არ იქნებოდა საკმარისი და არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ მომჩივანს არ ჰქონდა პირადი საწოლი, რათა ნორმალურად დაძინება შესძლებოდა.

47. გარდა ამისა, წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სხვა დასკვნების გათვალისწინებით, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ საყოველთაო სიბინძურის, ნესტიანობისა და დაზიანების პირობებში, ის ორი საკანი, რომლებშიც მომჩივანი იყო მოთავსებული, წარმოადგენდა გამონაკლისს თბილისის №5 საპყრობილეში და რომ დაწესებულების დანარჩენი ნაწილისაგან განსხვავებით, ისინი იყო სათანადოდ განათებული, განიავებული და მოვლილი. ყოველ შემთხვევაში, მთავრობას,

აღნიშნულ საკნებთან დაკავშირებით, არ წარმოუდგენია არც ფოტოები და არც ტექნიკური მონაცემები, საპირისპიროს დამტკიცების მიზნით (ალიევი, §82). თუმცა, აღნიშნულ პერიოდში, თბილისის მე-5 საპყრობილეში კიდევ იყო შესაძლებელი ფოტოების გადაღება, ეს საპყრობილე დანგრეულ იქნა 2008 წლის მარტში, მისი უკიდურესი სიძველისა და იქ არსებული მძიმე პირობების გამო (ამ საპყრობილის მდგომარეობასთან დაკავშირებით, იხ. აგრეთვე, შამაევი, §150).

48. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ მთავრობის არგუმენტი არც სათანადოდ მოტივირებულია და არც დოკუმენტურად დადასტურებული. ის არც სასამართლოს ხელთ არსებული მტკიცებულებებით არის გამყარებული. პირიქით, „ყოველგვარ გონივრულ ეჭვს მიღმა“, ის იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მომჩივანზე, მის მიერ გასაჩივრებულმა პატიმრობის პირობებმა მართლაც მოახდინა ზეგავლენა. კერძოდ კი, მას მოუწია საკუთარი საწოლის უქონლობის, სუფთა ჰაერისა და დღის სინათლის მუდმივი ნაკლებობის (*cf. Peers c. Grèce*, n° 28524/95, §§ 70-72, CEDH 2001-III), ასევე, სიბინძურის ატანა თბილისის მე-5 საპყრობილეში ყოფნის პერიოდში, რომელიც შვიდ თვეს გაგრძელდა (*cf.*, სხვებს შორის, *Mayzit c. Russie*, n° 63378/00, §42, 20 janvier 2005).

49. გარდა ამისა, მთავრობას არ დაუმტკიცებია, რომ მომჩივანი ეწეოდა ორგანიზებულ საქმიანობას, რომელიც მას შესაძლებლობას აძლევდა, დაეტოვებინა საკანი დღის გარკვეული დროის განმავლობაში ან, რომ ის სარგებლობდა რეგულარული სეირნობის უფლებით (ამასთან დაკავშირებით, იხ. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის 2005 წლის 30 ივნისს გამოქვეყნებული მოხსენება, §§ 73 და 75), ისე, რომ მის საკანში არსებული ჰაერის უკმარისობა მცირე მოცულობით მაინც ყოფილიყო კომპენსირებული (*Valašinas*, précité, §107 *in fine*; *Trepachkine c. Russie*, n° 36898/03, §94, 19 juillet 2007).

50. სასამართლოს მიაჩნია, რომ პატიმრობის ასეთმა პირობებმა მომჩივანს უდავოდ მიაყენა ისეთი ტანჯვა, რომელიც სცილდებოდა პატიმრობის თანმხლებ აუცილებელ ტანჯვას.

51. აქედან გამომდინარე, მომჩივნის მიმართ ადგილი აქვს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

## II. კონვენციის მე-6 (§1) მუხლის სავარაუდო დარღვევა

52. მომჩივანი თვლის, რომ უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელმაც ის პირველი ინსტანციით გაასამართლა, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას, როგორც „კანონის საფუძველზე შექმნილი“, იმ თვალსაზრისით, რომ კოლეგია შედგებოდა 2 არაპროფესიონალი მსაჯულისაგან, რომლებსაც არ ჰქონდათ მოსამართლის ფუნქციების განხორციელების იურიდიული კომპეტენცია.

### 53. კონვენციის მე-6 (§1) მუხლი შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

„ყოველი ადამიანი, მისი სამოქალაქო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების, ან მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია გონივრულ ვადაში მისი საქმის სამართლიანი და საქვეყნოდ განხილვის უფლებით კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ (...)”

#### ა. მისაღებობა

##### 1) მხარეთა არგუმენტები

54. მთავრობა მიიჩნევს, რომ მომჩივანმა არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები. კერძოდ, მას არ გამოუყენებია სსსკ-ის 108-ე მუხლით გარანტირებული მსაჯულების აცილების მოთხოვნის უფლება.

55. მომჩივანი თვლის, რომ წინამდებარე საქმის სპეციფიკური გარემოებების გათვალისწინებით, სსსკ-ის 108-ე მუხლით გათვალისწინებული მსაჯულის აცილების მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის ეფექტურ საშუალებას, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა.

##### 2) სასამართლოს შეფასება

56. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის 35-ე (§1) მუხლი არ აკისრებს მიმართვის ისეთი საშუალებების გამოყენების ვალდებულებას, რომლებიც არც ადეკვატურია და არც ეფექტური, ან, სხვა სიტყვებით, რომლებსაც არ შეუძლია გაკრიტიკებული სიტუაციის გამოსწორება. ამასთანავე, „საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების“ მიხედვით, ზოგიერთი განსაკუთრებული გარემოება ათავისუფლებს მომჩივანს მის ხელთ არსებული მიმართვის შიდა სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის ვალდებულებისაგან. აღნიშნული წესი ასევე არ გამოიყენება ადმინისტრაციული პრაქტიკის არსებობის შემთხვევაში, რომელიც მდგომარეობს კონვენციით აკრძალული აქტების განმეორებასა და სახელმწიფოს მხრიდან აღნიშნული აქტების შემწყნარებლობაში, ისე, რომ ყოველგვარი პროცედურა არაეფექტიანი და აზრს მოკლებულია (*Aksoy c. Turquie*, 18 décembre 1996, §52, *Recueil* 1996-VI), სხვა სიტყვებით, მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვის წესი ავტომატურად არ გამოიყენება და აბსოლუტურ ხასიათს არ ატარებს; მისი შესრულების კონტროლთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული საქმის გარემოებები (*Akdivar et autres c. Turquie*, 16 septembre 1996, §§ 65-69, *Recueil* 1996-IV).

57. გარდა ამისა, კონვენცია ავალდებულებს მხოლოდ მიმართვის იმ შიდასამართლებრივი საშუალებების ამოწურვას, რომლებიც არსებობს სარწმუნოების საკმარის დონეზე როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკაში, რის გარეშეც მათ აკლია ნაგულვები ეფექტურობა და ხელმისაწვდომობა (*Dalia c. France*, 19 février 1998, §38, *Recueil* 1998-I).

58. რაც შეეხება მოცემულ საქმეს, სასამართლოს აღნიშნავს, რომ რეალურად, სისხლის სსსკ-ის 108-ე მუხლის გამოყენებით, მომჩივანს შეეძლო, მოეთხოვა მსაჯულების აცილება, რომლებიც მის საქმეს იხილავდნენ. თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის ფორმულირება მხოლოდ იმავე კოდექსის 105-ე მუხლის I პარაგრაფში მოცემული მოტივების არსებობის შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი (§19, აბზაცი „ა“ ზემოთ). მთავრობა არ იძლევა ახსნა განმარტებას იმის შესახებ თუ აღნიშნული მოტივებიდან რომელს უნდა დაყრდნობოდა მომჩივანი მსაჯულთათვის აცილების მიცემის მოთხოვნის კანონის შესაბამისად დასაბუთების მიზნით, (სსსკ-ის 108-ე მუხლის §2). სასამართლოს შეუძლია, მხოლოდ ივარაუდოს, რომ იმ საკითხის გათვალისწინებით, რომელიც მომჩივანს აწუხებდა, მას შეეძლო, დაყრდნობოდა 105-ე მუხლის I პარაგრაფის „ა“ აბზაცში მოცემულ მოტივს, იმის სამტკიცებლად, რომ მსაჯულები არ იყვნენ „დანიშნულნი ან არჩეულნი მათ თანამდებობაზე კანონით დადგენილი წესების შესაბამისად“.

59. მაშასადამე, იმის გათვალისწინებით, რომ მსაჯულთა ინსტიტუტს გააჩნდა იურიდიული ხარვეზები, ვინაიდან ნათლად არ იყო განსაზღვრული „კანონი“, რომელიც არეგულირებდა მათ მდგომარეობას, (§70 და მოდევნო პარაგრაფები) და ასევე, იმის გათვალისწინებით, რომ რომელიმე საქმის სპეციფიკური გარემოებების არსებობის შემთხვევაში, სსსკ-ის 108-ე (§4) მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი, შეიცავდა შეფერხებების სერიოზულ რისკს, ნათლად არ იკვეთება, რომ მომჩივანი შეძლებდა, ეფექტურად გამოეყენებინა სსსკ-ის 105-ე მუხლის I პარაგრაფის „ა“ აბზაცით მინიჭებული მსაჯულის აცილების მოთხოვნის „უფლება“.

60. ამას გარდა, უნდა აღინიშნოს, რომ ორ მსაჯულს არ განუცხადებია თვითაცილება 105-ე (§1) მუხლის იმავე დებულების საფუძველზე, მაშინ როდესაც, სსსკ-ის 108-ე (§1) მუხლის შესაბამისად, მათ ჰქონდათ თვითაცილების „ვალდებულება“.

61. თავის მხრივ, მთავრობას არ გაუკეთებია ახსნა-განმარტება იმის შესახებ თუ რა სახით შეიძლებოდა გამოსწორებულიყო სიტუაცია იმ შემთხვევაში თუ მომჩივანი ზემოაღნიშნულ მიმართვის საშუალებას გამოიყენებდა, ვინაიდან, სახეზე იყო იმ სამართლებრივი ჩარჩოების არარსებობის პრობლემა, რომლებსაც უნდა დაერეგულირებინა ქვეყნის სასამართლო სისტემის ერთი ნაწილი (*Sejdovic c. Italie* [GC], n° 56581/00, §46, CEDH 2006-II). იმ შემთხვევაშიც კი თუ აღნიშნული მიმართვის საშუალება შედეგად გამოიღებდა ხსენებული ორი მსაჯულისთვის აცილების მიცემას, იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიას გამოეტანა განაჩენი საქმეზე (იხ. „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლი), აღნიშნულ პირებს შეცვლიდნენ სხვა მსაჯულები,

რომელთა მიმართაც მომჩივანს ანალოგიური პრეტენზიები ექნებოდა. საქმე იმაშია, რომ მომჩივნის პრეტენზიები მიმართული იყო არა ორი კონკრეტული მსაჯულის, არამედ, მთლიანად, მსაჯულთა ინსტიტუტის წინააღმდეგ, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ და რომელიც, მომჩივნის მტკიცებით, მოკლებული იყო კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, მთავრობის მიერ ხსნეული აცილების მოთხოვნა ნამდვილად ვერ გამოასწორებდა არსებულ ხარვეზს. იყო რა თავიდანვე აშკარად განწირული მარცხისთვის (*cf., a contrario, Brusco c. Italie* (déc.), n° 69789/01, CEDH 2001-IX), აღნიშნული მოთხოვნა არ წარმოადგენდა მიმართვის “ეფექტურ” საშუალებას.

62. ამ თვალსაზრისით, ასევე მნიშვნელობას მოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვაზე დაყრდნობით, მთავრობას არცერთ მომენტში არ მიუთითებია ანალოგიურ სიტუაციაში რომელიმე ბრალდებულის მიერ აცილების მოხვნის გაკეთების მაგალითზე და არც აღნიშნული მოთხოვნის საფუძველზე სავარაუდოდ გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილება წარმოუდგენია.

63. ზემოაღნიშნული მოტივების გამო, მთავრობის მიერ მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის შესახებ წარმოდგენილი არგუმენტი უარყოფილ უნდა იქნას. იმის გათვალისწინებით, რომ დაუშვებლობის არავითარი სხვა მოტივი არ არსებობს, საჩივრის აღნიშნული ნაწილი დასაშვებად უნდა გამოცხადდეს.

## **ბ. არსებითი მხარე**

### *1) მხარეთა არგუმენტაცია*

64. მომჩივანი ეჭვქვეშ აყენებს უზენაესი სასამართლოს მსაჯულთა კომპეტენტურობას, რომლებსაც, ასრულებდნენ რა მოსამართლის მოვალეობის იდენტურ მოვალეობას, არ ჰქონდათ არც შესაბამისი განათლება და არც გამოცდილება. მონაწილეობდნენ რა ბრალდებულთა განსჯაში იმ მნიშვნელოვან საქმეებში, რომლებიც უზენაესი სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით განიხილებოდა, მსაჯულებზე, მოსამართლისგან განსხვავებით, არ ვრცელდებოდა პროფესიონალიზმისა და თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნის მოთხოვნა („საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 46-ე (§1) მუხლი). შესაბამისად, მომჩივანი ასკვნის, რომ სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია, რომელიც შედგებოდა ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულისაგან, არ იყო სამართლებრივად კომპეტენტური მის წინააღმდეგ მიმართული ბრალდების დასაბუთებულობის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად.

65. მთავრობა მტკიცედ ეწინააღმდეგება აღნიშნულ არგუმენტს. მისი მტკიცებით, სადავო სასამართლო კოლეგიაში 2 მსაჯულის მონაწილეობა სრულიად კანონიერი იყო, ვინაიდან აღნიშნული გათვალისწინებული იყო „უზენაესი

სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლით. ამასთანავე, სსსკ-ის 44-ე (§2) მუხლი შეიცავდა „მსაჯულის“ განსაზღვრებას. მსაჯულები, რომლებიც საქართველოში, სადავო პერიოდში ახორციელებდნენ საქმიანობას, არჩეულ იქნენ კანონმდებლების მიერ 1991 წელს და მათი უფლებამოსილების ვადა რამდენჯერმე იქნა გახანგრძლივებული შესაბამისი კანონების საფუძველზე (იხ. §19, „ვ“ და „ზ“ პუნქტები). დაბოლოს, მთავრობა განმარტავს, რომ არ არსებობდა იურიდიული ტექსტი, რომელიც განსაზღვრავდა ამა თუ იმ სისხლის სამართლის საქმის განხილვაში მსაჯულთა მონაწილეობის წესებს.

66. ზემოაღნიშნულის საპასუხოდ, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მსაჯულის ფუნქციის განხორციელების სხვადასხვა წესები (არჩევის წესები, უფლებები და მოვალეობები, საქმეების განხილვაში მონაწილეობა), რომლებიც გათვალისწინებულია 1997 წლის 13 ივნისის კანონის 38-ე (§2) მუხლით *in fine* (მე-19 პარაგრაფის „გ“ პუნქტი), არასოდეს არ ყოფილა დამტკიცებული. ფაქტობრივად, მსაჯულებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდებოდა 1990 წლის 28 დეკემბრის კანონიდან (რომელიც 1997 წლის 13 ივნისს გაუქმდა) გამომდინარე პრაქტიკის შესაბამისად (§19, „ბ“ პუნქტი)

## 2. სასამართლოს შეფასება

67. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის მე-6 (§1) მუხლის შესაბამისად, „სასამართლო“ ყოველთვის „კანონის საფუძველზე შექმნილი“ უნდა იყოს. აღნიშნული ტერმინი ევროპული კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების სისტემის განუყოფელ, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპს გამოხატავს. ორგანო, რომელიც არ არის შექმნილი კანონმდებლის ნების შესაბამისად, უდავოდ მოკლებულია დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებელ ლეგიტიმურობას, განიხილოს კერძო პირთა დავები (*Lavents c. Lettonie*, n° 58442/00, §114, 28 novembre 2002).

68. კონვენციის მე-6 (§1) მუხლით გათვალისწინებული „კანონი“ გულისხმობს არამხოლოდ სასამართლო ორგანოების შექმნისა და კომპეტენციის შესახებ კანონმდებლობას, არამედ, ასევე შიდა სამართლის ყველა სხვა დებულებას, რომლისგან გადახვევა კანონიერ საფუძველს აცლის საქმის განხილვაში ერთი ან რამდენიმე მოსამართლის მონაწილეობას. უფრო კონკრეტულად, საქმე ეხება მსაჯულთა უფლებამოსილებას, თანამდებობრივ შეუთავსებლობასა და აცილებას (*Gurov c. Moldova*, n° 36455/02, §36, 11 juillet 2006). გარდა ამისა, ტერმინი „კანონის საფუძველზე შექმნილი“, ეხება არამხოლოდ თვით „სასამართლოს“ არსებობის სამართლებრივ საფუძველს, არამედ, ასევე, მის შემადგენლობას თითოეული სქმის განხილვისას (*Buscarini c. Saint-Marin* (déc.), no 31657/96, 4 mai 2000 ; *Posokhov c. Russie*, n° 63486/00, §39, CEDH 2003-IV).



69. სასამართლო პრაქტიკის შესაბამისად, კონვენციის მე-6 მუხლში ტერმინის - „კანონის საფუძველზე შექმნილი“ ჩაწერა მიზნად ისახავს იმის თავიდან აცილებას, რომ მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია აღმასრულებელი ხელისუფლების დისკრეციაზე არ იყოს დამოკიდებული და რომ აღნიშნული საკითხის რეგულირება ხდებოდეს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე. კოდიფიცირებული სამართლის მქონე ქვეყნებში, მართლმსაჯულების სისტემის ორგანიზაცია არც მხოლოდ სასამართლო უწყებების დისკრეციაზე უნდა იყოს დამოკიდებული, რაც, ამის მიუხედავად, არ გამორიცხავს მათთვის აღნიშნულ სფეროში არსებული ეროვნული კანონმდებლობის ინტერპრეტაციის გარკვეული უფლების აღიარებას (*Coëme et autres c. Belgique*, n<sup>os</sup> 32492/96, 32547/96, 32548/96, 33209/96 et 33210/96, §§ 98 et 107, CEDH 2000-VII ; *Savino et autres c. Italie*, n<sup>os</sup> 17214/05, 20329/05 et 42113/04, §94, 28 avril 2009). აღნიშნულის მიუხედავად „კანონის საფუძველზე შექმნილად“ ვერ იქნება მიჩნეული სასამართლო, რომელიც აჭარბებს კანონით მისთვის ნათლად განსაზღვრულ სასამართლო კომპეტენციას (*Sokourenko et Strygoun c. Ukraine*, n<sup>os</sup> 29458/04 et 29465/04, §§ 23-28, 20 juillet 2006).

70. უბრუნდება რა წინამდებარე საქმის გარემოებებს, სასამართლო შეახსენებს, რომ 2005 წლის 25 მარტს მსაჯულთა ინსტიტუტის გაუქმებამდე, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მსაჯულები იყვნენ კერძო პირები, რომლებსაც ჰქონდათ სხვა პროფესია და აღნიშნული სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის საქმეების პირველი ინსტანციით განხილვაში პროფესიონალ მოსამართლესთან ერთად მონაწილეობდნენ. მსაჯულთა ინსტიტუტი საბჭოთა მართლმსაჯულების სისტემის გადმონაშთს წარმოადგენდა, რომელშიც მსაჯულები ხალხის წარმომადგენლები იყვნენ და უზრუნველყოფდნენ მართლმსაჯულების განხორციელებაში ხალხის მონაწილეობას. ისინი მსაჯულის ფუნქციებს მათი მოქალაქეობრივი მოვალეობის კონტექსტში ასრულებდნენ (§19-ში მითითებული შრომის კოდექსი).

71. სასამართლო იზიარებს მთავრობის არგუმენტს, რომლის თანახმად, მომჩივნის საქმის განხილვაში ორი მსაჯულის მონაწილეობა ეფუძნებოდა „უზენაესი სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-8 (§2) მუხლს. ის ასევე ემყარებოდა სსსკ-ის 434-ე (§1) მუხლს. აღნიშნული დებულებების გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მომჩივნის საქმის განმხილველი სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თვით არსებობა მოქმედი კანონით იყო გათვალისწინებული.

72. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო ორგანოს მხოლოდ ლეგალური არსებობა არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ის მიჩნეულ იქნას „კანონის საფუძველზე შექმნილ“ სასამართლოდ. საქმე იმაშია, რომ წინამდებარე საჩივარში ისმის კითხვა იმის შესახებ, ჰქონდა თუ არა ეროვნულ სამართალში საკმარისი იურიდიული საფუძველი მსაჯულების მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას. მართლაც, უნდა დავასკვნათ, რომ ამ თვალსაზრისით, რომ 1999 წლის 5 მარტსა და 28 მაისს შორის არსებული მოკლე პერიოდის გარდა (§19, „გ“ პუნქტი *in fine*), აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი არავითარი კანონი არ არსებობდა. თუ სსსკ-ის 44-ე (§2) მუხლის თანახმად, მსაჯული იყო საქართველოს მოქალაქე, რომელიც, „კანონით“ დადგენილი წესის შესაბამისად, უფლებამოსილი

იყო, მონაწილეობა მიეღო საქმის სასამართლო განხილვაში, აღნიშნული კანონი არ არსებობდა ფაქტების დადგომის მომენტში. ყოველ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ ჩატარებულ კვლევას არ გამოუვლენია ასეთის არსებობა და საგანგებოდ დაესვა რა შეკითხვები აღნიშნულთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობას არავითარი არგუმენტით არ უპასუხია. რეალურად, ორივე ტექსტი არეგულირებდა მსაჯულთა ფუნქციების განხორციელებას – კანონი მოსამართლის სტატუსის შესახებ და 1999 წლის 5 მარტის კანონი ცვლილებებისა და დამატებების შესახებ – ფაქტების დადგომის მომენტში უკვე გაუქმებული იყო ისე, რომ შემდგომში, მათი შემცვლელი არავითარი კანონი არ ყოფილა მიღებული.

73. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომელიც ემყარებოდა 1991 წლის დადგენილებასა და მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ კანონებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნის საქმის განხილვაში მონაწილე ორი მსაჯული არჩეულ იქნა 1991 წლის 14 ივნისს, მაშინდელი საკანონმდებლო ორგანოს მიერ. ამასთანავე, თვით 1991 წლის დადგენილება წარმოადგენს მსაჯულის თანამდებობაზე არჩეულ პირთა სიას და არ შეიცავს არავითარ დაზუსტებას კანდიდატების შერჩევის, აღნიშნულ თანამდებობაზე მათი ურთიერთმონაცვლეობის, მათი უფლებებისა და მოვალეობის და ა.შ. შესახებ. ასეთივე შენიშვნა შეიძლება გამოითქვას ცვლილებებისა და დამატებების შესახებ შემდგომ მიღებულ კანონებთან მიმართებით, რომლებითაც, 1997 წლის 27 ივნისსა და 2005 წლის 31 დეკემბერს შორის პერიოდში, ყოველგვარი დაზუსტების გარეშე ხდებოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ავტომატური გაგრძელება. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 1996 წლის 7 მარტის დადგენილებისგან განსხვავებით, რომელიც მიუთითებდა იმ იურიდულ საფუძველზე, რომელსაც კანონმდებელი ეყრდნობოდა მსაჯულთა უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიზნით, აღნიშნული კანონები მსგავსი ტიპის არავითარ დებულებას არ შეიცავდა, იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამართლებრივი საფუძველი, რომელიც არეგულირებდა მსაჯულთა მიერ მოსამართლის ფუნქციების განხორციელებას, არ ან აღარ არსებობდა (§72).

74. დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ მომჩივნის საქმის განხილვაში მონაწილე ორმა მსაჯულმა მოსამართლის თანაბარი უფლებამოსილებით განახორციელა მართლმსაჯულება და მათი რაოდენობის გათვალისწინებით, მათ ჰქონდათ აუცილებელი ხმათა უმრავლესობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად. იმის გათვალისწინებით, რომ მათ მიერ მოსამართლის ფუნქციების გახორციელება ეფუძნებოდა სასამართლო პრაქტიკას, რომელსაც ეროვნულ სამართალში იურიდული საფუძველი არ გააჩნდა, კოლეგია, რომელშიც ისინი მონაწილეობდნენ, არ წარმოადგენდა „კანონის საფუძველზე შექმნილს“.

75. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი.

### III. კონვენციის სხვა მუხლების საგარაუდო დარღვევა

76. მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისი საქმის წინასწარი გამოძიება არ იყო სრულყოფილი, რომ ის წარიმართა ბრალდების კონტექსტში, რომ მისი მოთხოვნები სისტემატურად იყო უგულვებელყოფილი და რომ მისთვის ბრალის წაყენება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებისა და გარდაცვლილთა გვამებისთვის სასამართლო პროცესის უფლების დარღვევით ჩატარებული სამედიცინო ექსპერტიზის შედეგების საფუძველზე მოხდა. ამ თვალსაზრისით, მომჩივანს ეყრდნობა კონვენციის მე-13 მუხლს.

77. სასამართლოს თვალში, აღნიშნული არგუმენტები კონვენციის მე-6 მუხლის I პარაგრაფიდან გამომდინარეობს და მათი შფასება აღნიშნული დებულების კონტექსტში უნდა მოხდეს (*Camenzind c. Suisse*, arrêt du 16 décembre 1997, *Recueil* 1997-VIII, pp. 2895-2896, § 50).

78. სასამართლო აღნიშნავს, რომ მისი საქმის წინასწარი გამოძიების პროცესში მომხდარი სხვადასხვა დარღვევის გაპროტესტებით, მომჩივანი გამოხატავს პროტესტს მისთვის ბრალის წაყენებასა და გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. სინამდვილეში, საქმეში არაფერი არ იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ მომჩივანის არათანაბარ სიტუაციაში იქნა ჩაყენებული ბრალდებასთან მიმართებით (იხ., *mutatis mutandis*, *Dombo Beheer B.V. c. Pays-Bas*, arrêt du 27 octobre 1993, série A no 274, p. 19, §33) ან რომ მის მიერ მოყვანილი ფაქტები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მოსამართლისთვის მიმართვამდე, ზიანს აყენებს პროცესის სამართლიანობას (იხ., სხვებს შორის, *Imbrioscia c. Suisse*, arrêt du 24 novembre 1993, série A n° 275, p. 13, § 36 ; *Sarikaya c. Turquie*, n° 36115/97, §64, 22 avril 2004).

79. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საჩივრის ეს ნაწილი მოკლებულია ფაქტებს და დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი ამკარა დაუსაბუთებლობის გამო, კონვენციის 35-ე (§§ 3 და 4) მუხლის გამოყენებით.

### IV. კონვენციის 41-ე და 46-ე მუხლების გამოყენება

80. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად,

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

81. მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, მომჩივანი 100.000 ევროს ოდენობის თანხას ითხოვს. ის ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პატიმრობის ცუდმა პირობებმა ზიანი მიაყენა მის ჯანმრთელობას და რომ ის ციხეში დაავადდა პულმონარული ტუბერკულოზით, რომლისგან სრულად განკურნებას ის ციხის პირობებში ვერ შეძლებდა. გარდა ამისა, მომჩივანი ამტკიცებს, რომ მისი უფლებების დარღვევის გამო, მას ესაჭიროება ხანგრძლივი ფსიქოლოგიური მკურნალობა.

82. მთავრობას მიაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნა უარყოფილ უნდა იქნას. უპირველეს ყოვლისა, მთავრობა მოთხოვნილ თანხას გადაჭარბებულად მიიჩნევს. გარდა ამისა, მთავრობა ამტკიცებს, რომ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი მოთხოვნილ მორალური ზიანის ანაზღაურებასა და გასაჩივრებულ დარღვევებს შორის. ამასთანავე, მთავრობა მიუთითებს ხანგრძლივ ფსიქოლოგიურ და ფიზიკურ სამედიცინო მკურნალობასთან დაკავშირებით დოკუმენტური მტკიცებულებების არარსებობაზე. „სასჯელაღსრულების ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად“, მომჩივანი არასდროს არ ყოფილა ტუბერკულოზით დაავადებული. თუმცა, აღნიშნულის დამადასტურებელი არავითარი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლოს წინაშე.

83. ამასთანავე, თუ ზემოაღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო მაინც დაადგენს დარღვევას წინამდებარე საქმეში, მთავრობის აზრით ეს უკვე იქნებოდა საკმარისი სამართლიანი დაკმაყოფილება.

84. სასამართლოს ეჭვი არ შეაქვს იმაში, რომ დადგენილი დარღვევების გამო, (§§ 51 და 80), მომჩივანს მიადგა გარკვეული მორალური ზიანი და ეს იმისგან დამოუკიდებლად, დაავადდა თუ არა ის ციხეში ტუბერკულოზით. დავის წარმოების არცერთ ეტაპზე პატიმრობის სამედიცინო ასპექტს არ მიუღია კონკრეტული პრეტენზიის სახე, მომჩივანმა პირველად ტუბერკულოზი მხოლოდ სამთავრობო მიმოხილვის საპასუხო კომენტარებში ახსენა. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლო სულაც არ გამორიცხავს იმას, რომ პატიმრობის პირობებმა, რომლებშიც მომჩივანი იმყოფებოდა, უარყოფითი გავლენა იქონია მის ჯანმრთელობაზე.

85. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრინციპით, სასამართლო მომჩივანს მიაკუთვნებს 5.000 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით. გარდა ამისა, საჭიროა, აღინიშნოს, რომ როდესაც, როგორც წინამდებარე საქმეში, ადგილი ჰქონდა მომჩივნისთვის პირველი ინსტანციით მსჯავრის დადებას იმ სასამართლოს მიერ, რომელიც კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნის საწინააღმდეგოდ, არ იყო კანონის საფუძველზე შექმნილი და ამის შემდგომ, საქმის ხელახალ, გლობალურ არსებით განხილვას ადგილი არ ჰქონია (§16), ახალი პროცესი ან საქმის ხელახალი არსებითი განხილვა, მომჩივნის მოთხოვნის საფუძველზე, პრინციპში, წარმოადგენს დადგენილი დარღვევის აღმოფხვრის სათანადო საშუალებას (იხ., *mutatis mutandis*, *Öcalan c. Turquie* [GC], n° 46221/99, § 210 *in fine*, CEDH 2005-IV).

## ბ. ხარჯები და დანახარჯები

86. მომჩივანი ითხოვს 4.000 ევროს შიდა სასამართლოების წინაშე ადვოკატების, ბ-ნი არჩილ ჩოფიკაშვილისა და ქ-ნი ცირა ჯავახიშვილის მიერ მისი ინტერესების დაცვისათვის და ევროპული სასამართლოს წინაშე ქ-ნების, მანანა კობახიძის, ცირა ჯავახიშვილისა და ბ-ნი ნიკოლოზ ლეგაშვილის მიერ მისი ინტერესების დაცვისათვის.

87. მთავრობა მიიჩნევს რომ მოთხოვნილი თანხა გადაჭარბებულია. ამასთანავე ის აღნიშნავს, რომ აღნიშნული მოთხოვნის გასამყარებლად არავითარი დოკუმენტი არ ყოფილა წარმოდგენილი. არცერთ ადვოკატს არ დაუმტკიცებია, რომ შიდა სასამართლო წარმოებაში გაწეული ხარჯები მიზნად ისახავდა საჩივარში გასაჩივრებული დარღვევების აღმოფხვრას. ნებისმიერ შემთხვევაში, საქმის სირთულის დონის გათვალისწინებით, მთავრობის თანახმად, არ არსებობდა რამდენიმე ადვოკატის აყვანის აუცილებლობა.

88. აღნიშნულის მიუხედავად, მთავრობა აღიარებს, რომ მომჩივანს მოუხდა გარკვეული რეალური ხარჯების გაწევა მისი ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად და მიიჩნევს, რომ შესაბამის შემთხვევაში, 300 ევროს ოდენობის თანხა იქნებოდა გონივრული და სამართლიანი კომპენსაცია.

89. სასამართლო აღნიშნავს, რომ, რეგლამენტის 60-ე (§2) მუხლის შესაბამისად, კონვენციის 41-ე მუხლის საფუძველზე წამოყენებული თითოეული პრეტენზია უნდა იყოს დაანგარიშებული, შესაბამის გრაფებში განაწილებული და აუცილებელი მტკიცებულებებით გამყარებული, რის გარეშეც, სასამართლოს შეუძლია, ნაწილობრივ ან მთლიანად უარყოს აღნიშნული მოთხოვნა (*Svipsta c. Lettonie*, no 66820/01, §170, CEDH 2006-... (extraits)).

90. მოცემულ საქმეში, მომჩივანი შემოიფარგლება მხოლოდ მისი ინტერესების დაცვის ანაზღაურების მიზნით გადასახდელი თანხით, ყოველგვარი აუცილებელი დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის გარეშე. ასეთ პირობებში, სასამართლომ გადაწყვიტა, უარყოს აღნიშნული მოთხოვნა, როგორც დაუსაბუთებელი (ალიევი, §§ 130-134).

## გ) საურავი

91. სასამართლომ მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება 3 პროცენტი.

**ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად :**

1. მისაღებად ცნობს თბილისის №5 საპყრობილეში არსებულ პატიმრობის პირობებთან მიმართებით და ასევე, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის შემადგენლობასთან დაკავშირებით წამოყენებულ მომჩივნის პრეტენზიებს, ხოლო საჩივრის დანარჩენ ნაწილს აცხადებს მიუღებლად;

2. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი;

3. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 (§1) მუხლი;

4. ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანს, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს 5.000 (ხუთი ათასი) ევრო მორალური ზიანისათვის, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ) აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება 3 პროცენტი ;

4. უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ფრანგულ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2009 წლის 20 ოქტომბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლის შესაბამისად.

სალი დოლე  
სექციის განმწესრიგებელი

ფრანსუაზ ტულკენსი  
თავმჯდომარე